«დროების» რედაქცია —სიმონსონის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაში, ქუთაისში, ... მისამართი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ., 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზე.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## სიცრუე რა საკადრისია?

თბილისი, 17 მარტს.

სამწუხაროდ, რუსული მწერლობა კარგად ვერ იცნობს რუსეთის პროვინციების ყოფა-ცხოვრებას და მეტადრე კავკასიისას, რომელიც სხვა პროვინციებზე უფრო განსხვავდება თვით რუსეთისაგან. რუსული მწერლობისათვის კავკასია თითქმის უცნობი, ქვეყანაა და აი, ამიტომაც ძალიან ადვილია რუსული მწერლობის რომელიმე წარმომადგენელი ორგანოს შეცდენა, მერე ისეთი შეცდენა, რომელიც არ უნდა მოუვიდეს ჭეშმარიტების მოყვარე და კავკასიის ცოტათი მაინც მცოდნე ადამიანს. ეს შეცდომანი მით უფრო შემაძრწუნებელნი და უპატიოსნონი არიან, რომ მათი შემთხზველნი ხელმძღვანელობენ რომელიმე არა წმინდა განძრახვით და ჩირქსა სცხებენ თითქმის კავკასიის ყველა ხალხებსა.

ეს საუბარი მოიტანა შემდეგმა გარემოებამ: მკითხველებს, უეჭველია, ეხსომებათ გენერალი ფადეევის წერილი შესახებ კავკასიისა; ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კავკასიის აქეთა-მხარეში და დიდი ყურადღება მიიქცია — რის ღირსიც იყო. თავის წერილში გენერალმა ფადეევმა სომხების შესახებ წარმოსთქვა მათთვის არა სასიამოვნო აზრები; წინააღმდეგ ამისა ფადეევმა სასარგებლოდ ქართველობისა ხმა დასძრა და მისი ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად რამოდენიმე საშუალება დასახელა. რასაკვირველია, სომხობას ფადეევის აზრი თვითეაზე არ მოეწონებოდა; ეს სწორედ ასე უნდა ყოფილიყო, რადგანაც ყოველს ერს და მისს წევრს სრული უფლება აქვს განუსაზღვრელად უყვარდეს თავისი მამული და მედგრად ილვწოდეს საკუთარი წარმატებისათვის, მაგრამ ამასთანავე ჭეშმარიტება და სხვისადმი პატივისცემა დაცული უნდა იყოს; ამ უკანასკნელი პირობის მნიშვნელობა არა სცოდნია ერთს პირს რომელსაც გამოუცხადებია ერთ რუსულს გაზეთში («Новости» №№ 60 და 66). ამ მოსარჩლეს მეტის-მეტად შეუცდენია გაზეთის რედაქცია კავკასიის სხვადა-სხვა ერთა შესახებ. დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ გვარი მოსარჩლე უფრო მტერსა ჰგავს, რადგანაც ყოველს სტრიქონს მისი წერილისას ეტყობა სხვისადმი სიმძულვარე და დაუნდობლობა, რომელთაც არავისათვის ჯერჯერობით სიკეთე არ მიუნიჭებიათ და მხოლოდ თავს დასტეხიათ იმათ, ვისაც ეს თვისებანი ასულდგმულებენ. «Новости»-ს წერილის ავტორს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია იმ ზომებისათვის, რომელნიც ფადეევს საჭიროდ მიაჩნდა ქართველობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობისათვის; იმათ შორის მხოლოდ ერთი-ღა ამოურჩევია, სახელდობრ, პრიკაზის ვალის პატიება ქართველ თავად-აზნაურობისათვის და ამას ჩასციებია; ეს გარემოება სჩანს, ძალიან არ მოსწონებია «Новости»-ს წერილის ავტორს და იმოდენი ულმობლობა უხმარია, რომ ყველა სხვა ზომები, რომელნიც დასახელებულნი იყვნენ ფადეევის წერილში, განზე მიუმალავს.

ამას კიდევ შეიძლება მოვურიგდეთ, რადგანაც ზოგიერთთათვის მოვალეს შეწყალება იმოდენადვე შეუძლებელია, რამოდენადაც ადვილია უსინიდისობის ჩადენა.

ზემოდ-მოყვანილ გარემოებაზე უფრო შემაძრწუნებელსაც შევხვდებით «მოსარჩლის» წერილში. ავტორის საქციელი მით უფრო საზიზღარია, რომ მისი აზრი მეტად მდაბალი და არა წმინდაა.

ჩვენს დროში ცილის-წამება ჩვეულებრივი საქმეა; «მოსარჩლეს» ისიც უხმარია თავისი საგნისათვის. ამასაც არ დასჯერებია და განუძრახავს მეცნიერული ფაქტების გადასხვაფერება. აი საქმე როგორ არის: ცნობილია, რომ სომხების რაოდენობა კავკასიაში აღირიცხება 721,243 სულამდე, მაშასადამე, სომხობა რიცხვით ნაკლები ყოფილა ქართველობაზე, რომელიც ერთ მილიონამდეა. «მოსარჩლე» კი ბძანებს, რომ ოსები (49,278), ქურთები (16,018), თათრები (79,112), სპარსელები (7,623), ყველა ეს ხალხები და ზოგიერთი სხვებიც სომეხთა ტომისა არიანო. ამ ნაირად, ავტორის აზრით, სომხების რიცხვი მარტო კავკასიაში აღემატება ერთს მილიონსა... მოყვანილი ცნობები არ ეთანხმებიან არავითარს მეცნიერულს ფაქტს და ისინი ავტორს შეუთხზავს მხოლოდ სიცრუისათვის.

კიდევ ბევრი რამ ითქმის «Новости»-ს წერილის შესახებ. მართალია, «ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა», მაგრამ, «ზოგჯერ თქმითაც დაშავდების».

## შინაური ქრონიკა

ჩვენს დაბებსა და ქალაქებში ხშირად შეხვდებით ამ გვარ ტიპებს: კაცს არაფერი საქმე არა აქვს-რა, არსაიდამ რა შემოსავალი, მაგრამ ყოველთვის ქეიფობს კი, კაი «ძმაბიჭად» ირიცხება და თუ გვარიანი ჩამომავლობისაა, ამქარიც არ აკლდება. ამქარი ყოველისფერში მის მაგალითსა ჰბაძავს და მასსავით თავის გამოჩენა სასახელოდ მიაჩნია. ეს პირნი სწორედ ღვთის-რისხვანი არიან გამვლელ-გამომვლელთათვის და ვაი ამ უკანასკნელთა ბრალი, თუ სიტყვა არ გაუგონეს და საქეიფო ფული არ «ასესხეს». ძნელი ეს არის, რომ ჩვეულებრივ ეს პირნი უცხო მხარედამ არიან ხოლმე მოსულნი, ხშირად მაღალს წოდებას ეკუთვნიან და დაბა ან სოფელი ყოვლად ხელ-ფეხ შეკრულია და არას გზით არ შეუძლიან როგორმე შებაწროს მათი თავ-გასულობა. მომრიგებელი სასამართლო რას აკეთებსო? — იტყვით. მაგრამ თქვენ თითონ არ მოგეხსენებათ, რომ ძნელია ამაზე კაცმა საჩივარი შეიტანოს და თუნდაც გამოჩნდეს იმისთანა გამბედავი ვინმე, რომ არ შეუშინდეს გადაწვას, ცემას გაცარცვას და სხვ. და იჩივლოს მოსამართლეს-

## «დროების» ფელეტონი, 17 მარტი.

### კავკასიელთ ამირანი.

Всѣ племена, что обитаютъ
На лонѣ Азіи священной,
Съ тобой скорбятъ, съ тобой страдаютъ
Въ твоей судьбѣ многоплачевной
И дѣвы Колхиды, безстрашныя въ битвахъ,
И скиѳовъ народъ....

ესხილი.

ჩვენ ვიცით, რომ ძველ ბერძნებს (ელინებს, პელასგებს) ჰქონდათ შემდეგი თქმულება: ტიტანმა პრომეთეოსმა მოიტაცა ზეციდგან ცეცხლი და გარდასცა ხალხს, რომელსაც აქამდის იგი ხმარებაში არ ჰქონოდა. ამ გაბედულ მოქმედებისათვის ზევსმა (ბერძნების ღმერთმა) უბძანა სხვა ღმერთს ჰეფესტს, რომ მას მიეკრა პრომეთეოსი ერთ კლდეზე, სადაც იგი სამუდამოდ უნდა ტანჯულიყო. სად იმყოფებოდა ის კლდე, სადაც პრომეთეოსი მიკრული იყო? ამ კლდის ალაგზედ ყველანი ერთ-ხმად კავკასიასა სთვლიან. ბერძნების ტრაგიკი ესხილე ამბობს, რომ პრომეთეოსი მიკრულიაო ერთ კლდეზე კოლხიდის და სკითიის შუა. ამ გვარადვე სჯიან აპოლოდორი და ზიგინი*). რასაკვირველია, ამ გვარს შეხედულებას ბერძნებისას, ვითომც პრომეთეოსი კავკასიაში იყოს მიკრული სადღაც კლდეზე, არ შეიძლება საფუძველი არა ჰქონდეს-რა. ამას აშკარად გვიმტკიცებს ის მაგალითი, რომ თითქმის ყველა კავკასიაში მცხოვრებთ აქვთ თქმულებანი ამირანზე, თქმულებანი, რომელთაც ყოვლისფრით ემგზავსებიან ბერძნების თქმულებას პრომეთეოსზე.

ჩვენ აქ მოკლედ მოვიხსენიებთ ამირანზე სხვა-და-სხვა თქმულებებს, რომელნიც უკვე იყვნენ დაბეჭდილნი სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

ქართლ-კახელებსა აქვთ ამირანზე შემდეგი თქმულება: ღვთის ბძანებით ამირანი ჯაჭვებით მიკრულია იალბუზის მთაზე. მასთან იმყოფებიან მხოლოდ პატარა ფინია და მამალი. მთელ წელს საბრალო ფინია, ერთად-ერთი ამხანაგი ამირანისა, ლოკავს ჯაჭვებს და წლის ბოლომდის ჯაჭვი დაილევა ხოლმე, მაგრამ წითელ პარასკევს მჭედლები სცემენ საჭედელს და ჯაჭვი ისევე ისეთი გახდება, როგორც წინად იყო. ამირანი, ამბობენ ქართველები, მხოლოდ მეორე მოსვლას განთავისუფლდებაო.

იმერლებში გავრცელებული ლეგენდა*) ამბობს: ერთ რკინის ბოძზე მიკრულია გმირი როკაფი, რომელიც სცდილობს, რომ ბოძი როგორმე ამოაძროს მიწიდამ და როდესაც თავის განზრახვას აღსრულებამდე მიიყვანს ხოლმე, ამ დროს მოფრინდება პატარა ჩიტი, რომელიც დააჯდება ბოძს. როკაფი ჩაქუჩით სცემს ჩიტს, უნდა მოჰკლას, მაგრამ ამაოდ. ჩიტი გაფრინდება და ბოძი კი ისევ მიწაში ჩაიფლობა.

არა ნაკლებ საინტერესოა სხვა ლეგენდა, რომელიც აფხაზეთშია გავრცელებული (გაგონილი ბ. პოტემკინისაგან): მდინარე ხაძილგის სათაურთან, იალბუზზე, მიკრულია ამირანი, მის ახლო სდგას მისი რაში, რომელიც დღე და ღამ ღრღნის ჯაჭვებს, და, როდესაც ცოტა-ღა უკლია, რომ ჯაჭვი მთლად გაიჭრას, ამ დროს იქვე მდგარი დედა-კაცი, შავ-ტანისამოსიანი ჯოხის წვერს ახლებს ხოლმე ჯაჭვს და იგი მთელდება.

ოსეთშიაც ამ გვარივე ლეგენდაა, მხოლოდ სხვა-და-სხვა ვარიანტებით. ერთ ლეგენდას, რომელიც ბ. დუნკელ-ველინგს გაუგონია და რომელიც «კავკაზში» (1851 წ. № 20) იყო დაბეჭდილი. თუმცა ბ. ავტორმა ფელეტონური ხასიათი მისცა და ძალიან შესცვალა, მაგრამ იგი კიდევ უნდა ძალიან შესანიშნავ ლეგენდად ჩაითვალოს. აი ეს ლეგენდა: «ერთ ვიწრო ბილიკზედ, რომელიც იწყობა

*) ზოგიერთა ცნობებს და ლეგენდებს ჩვენ ვიღებთ «სახალხო განათლების» სამინისტროს ჟურნალიდამ (1883 წ. № 1) ბ. ვს. მილერის წერილიდამ.

*) ეს ლეგენდა გაუგონია ბ. გ. ს. მიქელაძეს, რომელმაც გარდასცა იგი ბ. ვს. მილერს (სამინისტროს ჟურნალი).

თან,—რას იზამს მოსამართლესაგან გადაწყვეტილი ორი და სამი თვით ციხეში ჩასმა, როგორ იმოქმედებს ზნეობით ეს სასჯელი, როცა კაცი თავზედ ხელ-აღებულია და დამწყვდევის დღებსა სთვლის, რომ მალე ციხიდამ გამოვიდეს და მიჰყოს ხელი ისევ თავის «ხელობასა». ამ გვარი «ხელობის» კაცი გასჩენია დაბა სურამსაც. რამდენიმე პირი გვწერს ამ დაბიდამ, რომ ერთი სეკრეტრობიდამ დათხოვნილი «ძმა-ბიჭი» სულ ამტუტებს მთელს სურამს და რამდენიმე პირისათვის შეურაცხება მიუყენებია კიდეც. ეს ბატონი დაიარება თურმე ქუჩა-ქუჩა და ყოველი გამვლელ-გამომვლელი თავის მოხარჯედ მიაჩნია.

≈≈ საკვირველია ჩვენი რკინის გზის გამგეობის უყურადღებობა ქართველებისადმი. თუმცა ეს უკანასკნელნი სინიდისიერადაც ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, არც სასმელს ეწყობიან, არც კასებში ხელის რევა მიაჩნიათ ერთად-ერთ გამამდიდრებელ საშუალებად, მაგრამ რკინის გზის გამგეობა მაინც უნდობლად უცქერის მათ და თუ აძლევს ადგილებს, აძლევს მესამე და მეოთხე ხარისხისას და იმათაც უგულოდ. მთელი ბაქო-ბათუმის გზაზედ პირველი ხარისხის სტანციის უფროსად არსად ქართველი არ არის. მეორე ხარისხისაზე მხოლოდ ერთგან არის და სხვ. ასეთი უსამართლობა ადგილების განაწილებაში პროტექციას უნდა დაბრალდეს. რკინის გზის ერთი უფროსთაგანი ბ. ზ—ჩი ნიშნავს სხვა-და-სხვა თანამდებობებზე თავის ნაცნობებსა და ნათესავებს, რომელნიც სრულიად ამ ადგილს არ შეეფერებიან და უფრო ღირსეულებს კი ვითომ «ადგილის უქონლობის გამო» უარს ეუბნება.

≈≈ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: «მარტის 10-ს გარდაიცვალა მხატვარი ა. მ. რადგანაც ყოვლად შეუძლებელი იყო, ამქარსა სურდა თავიანთი ფულით დაესაფლავებინათ; რამდენიმე ოსტატმა სთხოვეს ხელოსნების მოთავეს ბ. ნაუმენკოს, რომ ოცდა-ხუთი მანეთი გაეგზავნა მიცვალებულის სახლში. ბ. ნ. უპასუხა — სად არის გამგეობაში ფული, ჩემი საკუთარი ოცდა-ათი თუმანი სახლის ქირაში მივეცი და თქვენი მომეტებული ფული რაც იყო თქვენს «ნედოიმკაში» მივიღეო. ასე, უმოწყალოდ იხრწნებოდა მიცვალებული, ვიდრე თითო-ოროლი შაური არ მოვაგროვეთ და კუბო არ ვუყიდეთ. ნეტა ვიცოდეთ მარტო მხატვრებზეა ეს კანონი, რომ თავიანთ ფულის მოხმარება არ შეუძლიანთ სურვილისამებრ, თუ სხვებზედაც ასეა. მაგრამ რომელი უსტაბაში გაბედავს სწორე სიტყვის თქმასა და ანგარიშის მოთხოვნას! იმასაც მხატვრების უსტაბაშისაებ გადააყენებენ. აი, ესე ხელში დაუჭერია ამდენი ხელოსანი და იმათი წარმომდგენელნი ერთს «მწერალს», რომელსაც ბ. ნ. დაარქვა სეკრეტარი. სად მიდის ის ფული, რომელსაც ცემა-ტყეპით აგროვებენ? ან რატომ სამი წლის განმავლობაში ანგარიში არ მისცეს ამქრებს, რატომ კენჭის-ყრა არ მოახდინეს? ვგონებთ, ეს ყოველივე ღირსია ყურადღებისა და პასუხის მოცემისა.»

≈≈ ჩვენს ქალაქში ფქვილისა და ქერის უმთავრესი მოედანი არის თათრის მოედანი, რომელიც ისე შევიწროებულია, რომ თბილისის გამგეობას, როგორც გვესმის, დიდი ხანია, განზრახვა აქვს, ამ მოედნის მაგიერ, სხვა ადგილი დანიშნოს ფქვილისა და ქერის სავაჭრო ადგილად. ჯერ თითონ თათრის მოედანი საზოგადოდ არ არის დიდი. მასთან იგი დაპატარავებულა იმის გამო, რომ კერძო პირებს დაუჩემებიათ იქ ადგილები დალოცვილს ძველს დროს, როდესაც ყოველი მოხელე ისე განაგებდა საზოგადო კუთვნილებას, როგორც თავის საკუთრებას. მათგან დასაკუთრებული ადგილი, სივრცით თითქმის 60 კვადრატული საჟენი, მოედანს თვალსა სთხრის და უფუჭებს მას ადგილს არა ნაკლებ 200 საჟნისას, რადგან დასაკუთრებული ადგილები შიგ შუა გულში წამოჭიმულან და აქეთ-იქით მოედნის მხარეებს უსარგებლო, და ჰხდიან ქალაქისთვის, ხოლო დამსაკუთრებელთათვის კი ძალიან სასარგებლონი არიან, ისე სასარგებლონი, რომ მათ ერთად არა ნაკლებ 60 თუმნისას აძლევენ თვეში ქირას. მეტადრე ბ. ლ. ბ—ოვს გამოუთხრია მოედნისთვის თვალი. ჯერ დაუჭერია ყველაზე მარჯვე ადგილი, ზომით 7 კვად. საჟ. დახურულ ბაზრის გასავალთან, სადაც ოთხი პაწაწა დუქანი გაუმართავს, რომლებიდამაც იღებს თვეში 100 მან. ქირას. როდესაც ქალაქი გამოსდავებია, ბ. ბ—ვისთვის მიუზომნიათ ამოდენავე ადგილი მეორე კუთხეში სუბ-გეურქის ეკლესიასთან იმ პირობით, რომ პირველი ადგილისაგან უნდა ხელი აელო. ბ. ბ—ვი ჭკვიანი კაცი გამომდგარა და ახალი ადგილი ერთი სამადაც გაუდიდებია და არც პირველი ადგილისათვის დაუნებებია თავი.

ამ ნაირადვე მოჰქცევიან ქალაქის მიწებს სხვა ღარბაისელნი გამგენი თბილისის უწინდელი ცხოვრებისა.

როგორც უნდა იყოს, ეხლა რაღა გაეწყობა; მაგრამ მოედნის გადატანა კი, გვგონია, უეჭველად დასჭირდეს ქალაქს, ამ მოკლე დროში. ეს გადატანა სწორედ გადაუხდის ქალაქის მიწების ხსენებულს დამსაკუთრებლებს იმ საქციელს, რომელიც მათ გამოიჩინეს საქალაქო საქმეებში, როდესაც მათ ებარათ თბილისის კეთილ-დღეობა. ან ფულით რომ მაინც მიჰყიდონ ქალაქს მისივე ერთ-დროინდელი საკუთრება, კიდევ არა უშავდარა მოედანს, შესაძლო იყო იქ ფქვილისა და ქერის შემოტანა და ფართოდ ვაჭრობა, მაგრამ თავის წონა ოქროდაც არა ჰყიდიან ამ დაჩემებულ ადგილებსა.

## უცხოეთი

—

— იმ სოფელს, სადაც ოსმან-დიჰმა იყო დაბანაკებული და საცაც 13 მარტს (ახ. სტ.) ინგლისელებმა დაამარცხეს იგი, ეწოდება «თამაი» და ამის გამო მთელს იმ ადგილსაც, სადაც ბრძოლა მოხდა, «თამაის» ეძახიან. აჯანყებულებს აქ ხელოვნებითი სიმაგრეები სრულიად არა ჰქონიათ, მაგრამ თვით ბუნებით ისეა თურმე მოწყობილი ეს ადგილი, ისეთი მდებარეობა აქვს, რომ უამისოდაც ადვილია მტრის მაგრად დახვედრა და მოგერება: სულ ერთიანად მოფენილია თურმე გორებით, სიპი კლდეებით, ღრე-ფლატოებით, ღრანტეებით და სხ. ოსმან-დიჰმის რაზმი ამ ღრანტეებში და კლდეებში ყოფილა ჩასაფრებული.

13 მარტს, დილის მერვე საათზე, აიშალა თურმე ინგლისის ჯარი უკანასკნელი ბანაკიდგან, რომელიც აჯანყებულების ბანაკზედ ისე ახლო იყო, რომ უკანასკნელნი კარგად არჩევდენ ყოველს მისს მოძრაობას. ინგლისელების რაზმი ორ ბრიგადად იყო გაყოფილი: ერთს ბრიგადს უფროსობდა პოლკოვნიკი დევისი, ხოლო მეორეს პოლკოვნიკი ბელერი. წინ პირველი ბრიგადა მიდიოდა და ბელერის ბრიგადაც უკან, შორი-ახლო მისდევდა. არტილერია ბრიგა-

---

ქავკასიის მთა-გრეხილის ჩრდილოეთის მხარეს, და რომელიც ყაბარდოსველში გადის, მიდიოდენ ციკნები, რომელთაც მისდევდათ უკან მწყემსი ბესო სიმონიშვილი. ბესო ნელ-ნელა, არხეინად მიდიოდა და ძალიან მხიარულადაც იყო, არა იმიტომ, რომ ბევრი ყველი წამოჰყოლოდა შინიდამ, არამედ იმიტომ, რომ მას ეცვა ახალი ქალამნები. ბესო მალ-მალ დაჰხედავდა ხოლმე თავის ქალამნებს და სრულებით ყურს არ უგდებდა გარშემო გაცხოველებულ ბუნებას და მშვენიერ მთებს, რომელთაც იგი იცნობდა, როგორც თავის ხუთ თითს. მაგრამ აგერ მზემაც გადიხარა და ბილიკმა მიიყვანა ბესო ერთ ბნელ ალაგას. ბესომ გარდაიარა პატარა წყალი, დაჯდა ერთ ქვაზე, ამოიღო პური და ყველი, რადგანაც ძალიან მოშივნოდა. საუზმის შემდეგ, ბესო წამოწვა ამწვანებულ ბალახზე და რამდენიმე წუთის შემდეგ «შაინთნის ჯიბრზე» მაღლა ხვრინვა დაიწყო; მზის პირველ სხივზედ გაიღვიძა სიმონიშვილმა, დაინახა, რომ მისი ციკნები, დიდი ხანია, წინ წასულიყვნენ და თითონაც გაჰყვა ბილიკს. რადგანაც ეს ადგილი სრულიად უცნობი იყო ჩვენი მწყემსისათვის, ამიტომ ბესომ ყურადღებით დაუწყო სინჯვა მას. ეს ადგილი უფრო ბნელი და საშინელი იყო, ვიდრე სხვა ნაცნობი ადგილები; იალბუზის თოვლიანი წვერი, რომელიც ათას ფერად ბრწყინავდა მზის სხივებისაგან, ისე ახლო მოჩანდა, რომ ბესოს ეგონა, იქამდის ქვასაც მივაწვდენო. იალბუზი გარშემო შემორტყმული იყო სხვა თოვლიანი მთებით, რომელნიც საოცრად თითქოს ერთმანერთს ეჩურჩულებოდენო. ბესოს შეესმა რაღაც ძახილისა და ტირილის ხმა, რომელიც შუა კლდიდამ გამოდიოდა. მას არ შეეშინდა და შევიდა მღვიმეში, თუმცა იგი დემონის საცხოვრებელზე უფრო ბნელი იყო. შევიდა თუ არა, ბესომ დაინახა შემდეგი: ერთ დიდ ქვაზე მიკრული იყო მსხვილი ჯაჭვებით ლამაზი შიშველი ყმაწვილი. მისი მშვენიერი ალის-ფერი თვალები სახავდენ სასოწარკვეთილებას და მის ოხვრისა და ტირილისაგან მღვიმეში ჰაეური იძროდა. აბრეშუმის თმები აწეწილნი ეწყვნენ მის მხრებზე; დალურჯებული პირის-სახე, ხელები და ფეხები ამტკიცებდენ, რომ საცოდავი ყმაწვილი ბევრსა ცდილა, როგორმე გაენთავისუფლებინა თავი ამ ჯაჭვებიდგან და მისი თვალები, მრისხანებით სავსენი ამტკიცებდენ მის საბრალო მდგომარეობას. როდესაც ბესო შიშისაგან გონს მოვიდა, დაინახა, რომ მიწა მთლად შეჭედილი იყო ოქროებითა და იარაღითა; დამწყვდეულის პირ-და-პირ იყო ჯაჭვი, რომლის წვერზედ ხელის მოკიდებასაც ტყუილად სცდილობდა იგი. პატიმარს ძალიან გაეხარდა, როდესაც ბესო დაინახა: მის თვალებში ერთ წამს აღმობრწყინდა იმედის სხივი; მან თავი დაანება ტირილს; მისი ხმა შესწყდა.....

— ალაჰმა და მისმა ანგელოზებმა გაცოცხლონ, კეთილო ყმაწვილო! უთხრა საპატიმროში დამწყვდეულმა ბესო სიმონიშვილს—შენმა მოსვლამ იქნება ამ დაუბოლოებელი ტანჯვისაგან განმათავისუფლოს მე, და შენ კი მოგანიჭოს მრავალი საუნჯე და ბედნიერება!...

— მიბძანე, ბატონო,—უპასუხა პატარა მწყემსმა,—ყველაფერი, რითაც კი ბესოს შეუძლიან გემსახუროს; იგი სრულიად მზად არის და აღასრულებს კიდეც. თუნდაც, აი, ჩემი ახალი ქალამნების ჩაცმა მოინდომო, ამაზედაც მე უარს არ გეტყვი!..

რასაკვირველია, ბესო სხვა დროს არავის არ დაუთმობდა თავის ახალ ქალამნებს, მაგრამ ეხლა მასში შეცოდების გრძნობა აღემატა სხვა გრძნობებს.

— არა, ბესო, ის სამსახური, რომელსაც მე შენ გთხოვ, უფრო ცოტას მოითხოვს... მომაწოდე ამ ჯაჭვის ბოლო!

ბესო მივარდა ჯაჭვს, ასწია იგი და უნდოდა, რომ მიეწვდინა ყმაწვილისთვის... მაგრამ... ჰოი განგებავ!.. ჯაჭვი ძალიან მოკლე გამოდგა...

— დაწყევლილნო და ბოროტნო სულნო! ცოფიანივით დაიღრიალა დამწყვდეულმა,—ნუთუ ამოდენა საუკუნენი ჯოჯოხეთის ტანჯვათა არა კმარან ჩემი დანაშაულის მონანებისათვის და არასოდეს არ უნდა მოეღოთ მათ ბოლო?!.

დების შუა იდგა; ცხენოსანი ჯარი კი გვერდით უდგა პირველს ბრიგადას და ცოტა მეორესაც. გენერალი გრაჰამი შტაბითურთ პირველი ბრიგადის შუაში იდგა და გენერალი სტიუარტი მეორე ბრიგადას უკან მისდევდა.

სასტიკი ბძანება გასცეს ჯარში, რომ თოფი არავის გაესროლა, ვიდრემდის კარგად არ მიუახლოვდებოდენ მტერსა, ან უკანასკნელი არ მოუახლოვდებოდა მათ.

ინგლისის ჯარი კარგად იყო დაწყობილი და ისე იყო მომზადებული, როგორც საჭიროა და როგორც შეეფერება არაბებთან ბრძოლას. მიდიან ინგლისელები გულადად, დინჯად, ამაყად. თოფი ჯერ არსაიდამ ვარდება. აი, მიუახლოვდა ინგლისის რაზმი ღრანტეებს, სადაც აჯანყებულები არიან ჩასაფრებულნი. იგრიალეს თოფებმა ღრანტეებიდგან და რამდენიც უფრო უახლოვდებიან მათ ინგლისელები, იმდენი უფრო-და-უფრო ხშირდება ტყვიის წვიმა. ინგლისელები მომაკვდინებელს ცეცხლში არიან, მაგრამ ჯერ კიდევ არ ისვრიან თოფს და ისევ ისე დინჯად, თამამად და უშიშრად მიიწევენ წინ. უქარო დღე იყო და თოფის წამლისგან ისეთი ჯანყი დადგა, რომ მტრები ერთმანეთს ველარ არჩევდენ. აი, მიადგნენ ინგლისელები მტრის საფრებს. გატიტვლებული, გამხდარი და ძარღვიანი არაბები უცებ ამოხტნენ ღრანტეებიდგან და შესაზარი კიჟინით შემოუტივეს ინგლისელებს. ეს ისე უცებ, ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ინგლისელ სალდათებს შიშის თავ-ზარი დაეცათ, აირივნენ ერთმანეთში, იწყეს თოფის სროლა, მაგრამ ერთად კი არა, ცალ-ცალკე, უსწორ-მასწოროდ და უმიზნოდ. არაბებმა შენიშნეს ინგლისელების შეძრწუნება, წაწვნენ პირქვე, რომ ტყვიები აეცილებინათ თავიდამ, ბოხლვით წავიდენ მტრისკენ და, როდესაც მიუახლოვდენ, წამოხტნენ და პირველს ბრიგადას შიგ შუა-გულში შეეჭრნენ. გაიმართა საშინელი ხელჩართული ომი, ჩეხა და ქლეტა ინგლისელი სალდათებისა, რომელნიც ძლიერ ჩამორჩნენ არაბებს ხელ-ჩართულ ომში. ვიდრემდის ინგლისელი ერთ-ჯერ მოიქნევდა ხელს, იმას სამი-ოთხი ჭრილობა აჯდა მკერდზე არაბის შუბისაგან, ანუ ხმლისაგან. თვითონ არაბები კი გასაოცარი სიმარჯვით ილეწდენ მათზე მოქნეულს იარაღს იარაღითვე; მკერდში მიმართულს თოფის შუბებს, ხელში იჭერდენ და სტაცებდენ ინგლისელებს. საზარელი წამი იყო ეს წამი! ინგლისელებმა ველარ შეუძლეს არაბების გმირულს ომს და პირი უკან იბრუნეს, მაგრამ, რა დაინახეს ბენელის ბრიგადა მხნედ და მარჯვედ, გული მოეცათ, შეუერთდენ მას და მასთან ერთად ხელ-მეორედ შემოუტივეს მტერს. არაბები ცდილობდენ უკანიდგან მოევლოთ ინგლისელი რაზმისთვის და ცალ-ცალკე ჯგუფებად დაემარცხებინათ, მაგრამ ცხენოსანი ჯარი მედგრად შეეტაკა მათ და შეაჩერა. რამდენსამე წამს კიდევ გაგრძელდა საშინელი ერთმანეთის ჩეხა და შემდეგ იძლივნენ არაბები, რომლებზედაც ამ ომის დამსწრე ევროპიული გაზეთების კორესპონდენტები მოგვითხრობენ, რომ მათი ვაჟ-კაცობა და გულადობა ენით არ გამოითქმება და კალმით არ დაიწერებაო,—თავის თვალით უნდა ნახოს კაცმა, რომ დარწმუნდეს—რა მხნე და ქველი ვაჟკაცები არიან იგინიო. თვითეულს მათგანს ეტყობოდა ზედ, რომ იმათ გარდაწყვეტილი ჰქონდათო: **ან სიკვდილი, ან გამარჯვება!** აჯანყებულები უკუ-იქცნენ, მაგრამ უწესოდ არ გაქცეულან, ისინი მიდიოდენ დინჯად, ღირსებით და ამაყად. როდესაც ინგლისელები მივიდენ ღრანტეებთან, სადაც აჯანყებულები იყვნენ ჩასაფრებულნი, იქ მკვდრების მეტი არარავინ დახვდათ. «თამაიც» დაეცალათ აჯანყებულებს, ვიდრემდის ინგლისელები მივიდოდენ იქ. გამარჯვებულებს დარჩათ რამოდენიმე კრუპის ზარბაზანი, საომარი მასალა და სხვა დავლა.

ინგლისელებს არაბები ტყვედ ვერ დაუჭერიათ, რადგანაც, როგორც კორესპონდენტები ირწმუნებიან, არაბები ცოცხლები ხელთ არ უვარდებოდენ მათ. თითქმის სასიკვდილოდ დაჭრილნიც იკვდარუნებდენ თავს, რათა შეეკრიბათ უკანასკნელი ძალა და შუბით, ან დანით დაეჭრათ გამვლელი ინგლისელები. ამ გვარად ბევრი ინგლისელი თურმე მოკლეს არაბებმა. არც შველას თურმე იღებდენ ინგლისელებისგან. გენერალი სტიუარტი მივიდა თურმე ერთ ახალგაზრდა არაბთან, რომელიც სისხლით იცლებოდა; როდესაც სტიუარტის ადიუტანტმა პირი გაუღო დაჭრილს წყლის დასალევინებლად, უკანასკნელი იქამდენ დასუსტებული იყო, რომ თვალები ძლივს გაახილა, მაგრამ, რა დაინახა გენერალი, რომელიც მას დაჰყურებდა, თითქო სიცოცხლე მოემატა, იტაცა ხანჯალზე ხელი და სტიუარტს კინაღამ იქვე სული გააბნევინა.

## სხვა-და-სხვა ამბები.

—

**წიგნების საქმე ინგლისში.** 1883 წლის განმავლობაში, ინგლისში დაიბეჭდა **4,732** წიგნი, წინა წელზე **754** წიგნით მეტი. მათში ღვთის-მეტყველებას შეეხება **704** წიგნი, საყმაწვილო თხზულებას—**741**, პედაგოგიურს—**556**, ისტორიას და ბიოგრაფიას—**414**, ხელოსნებს ილიუსტრაციებით—**354**, რომანებსა და მოთხრობებს—**349**, წვრილ-წვრილ საკითხავებს—**256**, მოგზაურობას—**210**, ბროშიურებს — **199**, პოლიტიკურ ეკონომიას, ვაჭრობას და სამეურნეო საქმეს—**187**, მედიცინას—**163**, იურიდიულს და ფილოსოფიურს—**139**, ლექსებსა და დრამებს—**145**.

—

**ქვერცხების კეთება.** ამერიკაში საშინლად გავრცელებულია კვერცხების კეთება ისე, რომ ნამდვილი კვერცხებისაგან ვერ გაარჩევ. ზოგი ისეთი ფაბრიკაა იქა, რომ საათში ათასს კვერცხს აკეთებს. კვერცხს ამ სახით აკეთებენ: კვერცხის გულს ამზადებენ სიმინდის ფქვილისაგან და ცილას კი ალბუმინისაგან. ზომას იღებენ ისე, როგორც ნამდვილს კვერცხშია. ნაჭუჭ-ქვეშ კვერცხს აქვს თხელი ტყავი. ამასაც აკეთებენ ჟელატინისაგან და თითონ ნაჭუჭს კიდე გიპსისაგან.

კვერცხის გული ისეთივე სიმრგვალისა და სიმაგრისაა, როგორც ნამდვილს კვერცხში; აგრეთვე ცილაც ნამდვილს ცილასა ჰგავს.

—

**ზღვის ზეირთების დამაწყნარებელი საშუალება.** ინგლისში, ამ ბოლოს დროს, სისტემატიკურად სცდიან ნავთისა და ზეთის ხმარებას ზღვის ზვირთების დასაწყნარებლად; გამოცდამ საკვირველი ნაყოფი მოიტანა. მაგალითად, ფოქსტონის ნავთსადგურში საშინელი ღელვა იყო ამას წინედ; იმ ადგილას ზღვაში ჩაასხეს რამდენიმე ფუთი ზეთი; გამოდგა, რომ სადაც ნავთი იყო ჩასხმული, იმ ადგილას წყალი სრულებით დადაწყნარდა და დამშვიდდა. ამ გამოცდაზე დახარჯულა სულ ორი თუმანი ფული. ეხლა ჰფიქრობენ, ფოქსტონის ნავთსადგურში, სადაც ხშირია ქარიშხალი, იხმარონ გამუდმე-

---

ქური დამიგდე, ბესო, და კარგად დაიხსომე შემდეგი ჩემი სიტყვები: მე შემიძლიან გავხდე თავისუფალი... დიაღ, თავისუფალი, როდესაც ამ ჯაჭვის ბოლო ხელში მექმნება; მაშინ მე გავწყვეტამ ჩემს ბორკილებს, მოვკლავ იმ ძერას, რომელიც ყოველთვის გულ-ღვიძლს მიწიწკნის; მაგრამ ჯაჭვი ძველი რკინისა უნდა იყოს; ნუ დაინანებ დროს და შრომას, შეაგროვე რკინა, გააკეთე მისგან ჯაჭვი და აქ მომიტანე... მაგრამ ჩემს დახსნამდე არავინ უნდა მნახოს, არც მე, და არც ის კლდე, რომელშიაც ვმარხივარ აგერა რამოდენიმე საუკუნეა!..

წამოვიდა ბესო, მირეკა ცხენები სახლში, შეაგროვა რკინა და გააკეთა ჯაჭვი; მაგრამ მისმა სოფლელებმა შეამჩნიეს და ეგონათ, რომ ბესომ სადღაც ოქროები იპოვაო. აგერ გათენდა სანატრელი დღე და ბესო ნაცნობ ბილიკზე გაემგზავრა იმ ალაგას. მაგრამ ამ დროს წინ შემოხვდა ოთხი კაცი, მისი სოფლელთაგანი და უთხრეს მათთვისაც გაეყო თავისი ოქრო. ბესო ბევრს ეხვეწა, თავი დაენებებინათ მისთვის, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. თითქო სასიკვდილოდ მიდიოდა, ისე გაემგზავრა ბესო თავის მეზობლებთან ერთად. აგერ იალბუზი კიდეც გამოჩნდა. ისევ ისე მბრწყინავი, ძლიერი და მშვენიერი, როგორც წინად; აგერ კლდეები, რომელთაც თითქოს პირი ერთმანეთისათვის მიუქცევიათ და ჩურჩულობენ დამწყვდეულ საიდუმლოზე; აგერა მღვიმეც... ბესოს ჟრუანტელმა დაუარა ტანში და ხელები გაიშვირა მღვიმესაკენ... უცრად იგრიალა კლდემ და გადიქცა ხევში... ბესომ დაიყვირა და დაეცა მიწაზე...

«გავიდენ დრონი; მაღალ მთებზე, დაფხრეწილ ჩოხაში ჩაცმული, ყვითელი და გამხმარი პირისახით და აწეწილი თმებით დაეხეტებოდა ჭკუაზედ შეშლილი ბესო, რომელიც საშინელი ხარხარით და უგონო სიხარულით დასცქეროდა თავის ქვებისაგან დაჭრილ ფეხებს, ეგონა, კიდევ ახალი ქალამნები მაცვიაო»!.. ორი სხვა ლეგენდა ამირანზე, რომელნიც მე გაგონილნი მქონდა გორის მაზრის ოსებში, უკვე დაბეჭდილნი არიან «დროებაში» (1883 წ. № 77).

**ყაბარდოელებსა** აქვთ ასეთი თქმულება ამირანზე: იალბუზის წვერზე სდგას ერთი დიდი ქვა, რომელზედაც ზის ბებერი კაცი; თეთრი წვერები ამ მოხუცსა ფეხებამდე სწვდება, მთლად მისი ტანი აგრეთვე თეთრ ბალნით არის შემკობილი; ფრჩხილები აქვს ძალიან გრძელი და მისი თვალებიდამ, როგორც ცეცხლიდამ, ისე ამოდის ალი. კისერზე, ფეხებზე და ხელებზე მას შებმული აქვს ჯაჭვი. ამბობენ, რომ ეს მოხუცი წინად ძალიან მეგობარი ყოფილა **თხისა** (ყაბარდოელების ღმერთი), მაგრამ, როდესაც პირველს მოუნდომია მისი ალაგის დაჭერა, თხას საუკუნოდ დაუმწყვდევია იგი იალბუზის წვერზე. გაიღვიძებს ხოლმე დილით, თუ არა ამირანი ეკითხება მცველებს: «იბადებიან ქვეყანაზედ კიდევ ბატკნები თუ არა», და როდესაც დამტკიცებულ პასუხს მიიღებს ხოლმე, საცოდავი დაუწყებს თავის ბორკილებს ჩხარა-ჩხურს. «მაშინ—ამბობენ ყაბარდოელები,—ხმელეთი ინძრევა, მისი ბორკილების ხმაურობა ჰპარავს ქუხილს და ელვას, მისი სუნთქვა—საშინელ ქარიშხალებს, კვნესანი—მიწის ქვეშ გრგვინვას, და ცრემლები—იმ საშინელ მდინარეს, რომელიც შურილ-ხურილით ჩამოდის იალბუზის მხარზე»!.. (კავკაზი 1846 წ. № 35).

**სომხების** ლეგენდების გმირად ამირანის მაგიერად არტავაზდია. როგორცა ვხედავთ, ყველა კავკასიის ტომთა აქვთ ამირანზე ლეგენდები, რომელნიც ძალიან ემზგავსებიან თავიანთ შინაარსით, როგორც ერთმანეთს, აგრეთვე ბერძნების თქმულებასაც პრომეთეოსზე. ზემო ნათქვამი შემთხვევები უნებლიედ იმ დასკვნამდე მიიყვანებენ კაცს, რომ ეს თქმულება მართლ-მსგავსად ჰხდება. ჩვენ უნდა ვიქონიოთ სახეში ის შემთხვევა, რომ თვით ეგვიპტელებსაც კი ჰქონდა თქმულება ბერძნების პრომეთეოსზე...

გიორგი ლაშხელი.

1884 წ. მარტი.
ქ. თბილისი.

[illegible] დება და ამის [illegible] ბენ შეერთებას ზეით [illegible] სასჯელად.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

15 მარტს.

ხარკოვი. დაიწყო საქმე ნაინტენდანტარი გენერლის ბუშენის, გადამდგარი პოლკოვნიკის ხახისა და ტიტულიარნი სოვეტნიკის ვასილიევისა, რომელთაც ბრალდებენ სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებას ჩადენს წარსული ომის დროს.

ტაშკენტი. აქ შესდგა შეა-აზიის მადნების მწარმოებელი ამხანაგობა, რომელიც აწარმოებს აგრეთვე ქვის-ნახშირის მადნებს ხოჯენის ახლო.

ვენა. ოფიციოზური გაზეთი «ფრემდენბლატ» ამბობს, რომ ვენის პოლიტიკური წრეებში ჯერ არაფერი არ იციან იმაზედ, ვითომ რუსეთის წინადადებით აძლევდეს სახელმწიფოთ კონსტანტინოპოლის და დარდანელის სრუტის საქმის გადაწყვეტის შესახებ.

16 მარტს.

პეტერბურგი. შეერთებულ შტატების მთავრობამ გამოაცხადა სურვილი,—მისცეს რუსეთს, რაც ამ უკანასკნელს ხარჯი მოუვიდა «ჟანეტას» ექსპედიციის მოძებნაზე. ხარჯი 18000 მანათია. ამაში მარტო 3500 ტელეგრამებზე და ესტაფეტებზე დაიხარჯა.

კონსტანტინოპოლი. პორტასა და მსოფლიო პატრიარქს შორის უთანხმოება მოისპო. პორტამ ხელ-ლი აიღო თავის მოთხოვნილებაზედ და ისევ ძველი უფლება მიანიჭა პატრიარქს. ხვანთქრის ბარათი ამ საგანზედ უწინდელ ბარათების მსგავსია.

ლონდონი. ადმირალი ჰიუეტისაგან მიღებული ტელეგრამა ამტკიცებს იმ ცნობას, რომ აჯანყებულებმა უკან დაიწიეს. სუაკიმის მხრივ ჰიუეტი კამპანიას გათავებულადა სთვლის.

პარიჟი. ფერიმ გამოაცხადა დეპუტატთა პალატაში, რომ მაისში შეიტანს წინადადებას სენატში და პალატაში კონსტიტუციის გადახედვაზედ. ამასთანავე გამოაცხადა, რომ მადაგასკართან მოლაპარაკება რიგიანად გათავდება, მაგრამ ურჩია პალატას ამ კუნძულის შესახებ ლაპარაკი აღარ აღძრან. მინისტრმა სთქვა, რომ საჭიროა მალე გადასწყდეს ტონკინისა, ტუნისის საქმე და მასუკან სხვა შორეულ საქმეში აღარ გაებან. ფერისაგან წარმოდგენილი წინადადება შესახებ მადაგასკარზედ საფრანგეთის უფლების დამცირებისა მიღებულ იქმნა 450 ხმის უმეტესობით 32 წინააღდეგ.

## განცხადებანი

«ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» მმართველობა სთხოვს საზოგადოების დამფუძნებელთა და ნამდვილ წევრთ წარმოუგზავნონ ხვედრი საწევრო ფული წარსულის 1883 წლისა პირველთ 20 მან. და მეორეთ—ექვსი მანათი ან საზოგადოების ხაზინადარის ბ-ნ გ. დ. ქართველიშვილის სახელობაზე (Михаиловская улица, собственный домъ), ან საზოგადოებისავე სამწერლოში (Симоносовская улица, за 1-ою Классическою Гимназіею, подъ редакціею газ. «Дроэба»). (10—3)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდის. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სამაჭრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაინოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაოსები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბავშო მაგრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნაჩბები, კატერპრუფები, საზნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—81)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, კასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—97)

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, უოკელის ,,ხელისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, საპონი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაქსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხის იატაკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბუზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, ეკტორპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწველები, ნემსები, სვისტოკი, პომადი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები ი, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის, ტანისამოსის, ცხენის და ბა მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და . და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—63)

ინგლისის მაღაზიაში

## თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—4)



## მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— —1 გირ. 5 კ.

აქაური ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. 3 კ.

მეორისა — — —1 გ. 2½

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის—1 გ. 5 კ.

მეორისა — —1 გ. 3½

მესამისა — —1 გ. 3 კ.

ჭვავის-მამის პური:

პირველის ხარის. ლავაში 1 გ. 5 კ.

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. 4 კ.

მესამისა — —1 გ. 3½

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის—1 გ. 9 კ.

მეორის — —1 გ. 8 კ.

სუკი . . . —1 გ. 16 კ.

ცხვრის ხორცი —1 გ. 10 კ.

ღორის ღორცი:

პირველის ხარისხის—1 გ. — კ.

მეორის — —1 გ. — კ.

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილ. ით.

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილ. ისა. (სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკ.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. დილისა. (პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Дозв. цензур. Тифлисъ, 16 Марта 1884 г. ექ. ხელაძის სტამბა) Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.